დამტკიცემულია 2023 წლის 24 ივლისის თსს აკადემიის
აკადემიური საბჭოს სხდომაზე
ოქმი №29

სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის დოქტორანტურის სტუდენტთა სამეცნიერო პუბლიკაციებისა და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის დაფინანსების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესი (შემდგომში - წესი) არეგულირებს სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის (შემდგომში - აკადემია) დოქტორანტურის სტუდენტთა (იგივე დოქტორანტთა) სამეცნიერო პუბლიკაციებისა (იგივე სტატიის) და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის დაფინანსების საკითხებს.

2. წესის მიღების მიზანია:

ა) აკადემიის სადოქტორო პროგრამების სამეცნიერო კომპონენტის დაფინანსების საკითხის უზრუნველყოფა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა;

ბ) აკადემიის დოქტორანტურის სტუდენტთა:

ბ.ა) სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნების უზრუნველყოფა დარგის აღიარებულ რეფერირებად, იმპაქტფაქტორიან ჟურნალებში;

ბ.ბ) საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის ხარჯების დაფარვა.

მუხლი 2. ძირითადი დებულებები

1. წესით განსაზღვრული დაფინანსების (შემდგომში - დაფინანსება) მიღებისთვის, სადოქტორო პროგრამების დებულებიდან გამომდინარე, აკადემიის დოქტორანტი, დისერტაციის დაცვამდე ვალდებულია, სადოქტორო კვლევის ფარგლებში მოამზადოს 1 (ერთი) სტატია და გამოაქვეყნოს რეფერირებად ჟურნალში ან/და მონაწილეობა მიიღოს 1 (ერთი) საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე და წარმოადგინოს კონფერენციის მასალებში დაბეჭდილი მოხსენება (არა თეზისები).

2. დოქტორანტის მიერ ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული მოთხოვნ(ებ)ის შესრულება წარმოადგენს დაფინანსების მიღებისთვის აუცილებელ პირობას.

3. დაფინანსება ძირითადად მოიცავს (მაგრამ საჭიროებისამებრ შეიძლება არ შემოიფარგლებოდეს) შემდეგი საკითხების/ხარჯების უზრუნველყოფას:

ა) სტატიის/საკონფერენციო მოხსენების (იგივე მოხსენება) ინგლისურ (ან/და საჭიროებისამებრ სხვა უცხო) ენაზე თარგმნა/რედაქტირება;

ბ) ინგლისურენოვანი (ან/და საჭიროებისამებრ სხვა უცხოენოვანი) სტატიის/მოხსენების პლაგიატის აღმომჩენ სპეციალურ პროგრამაში შემოწმება;

გ) ჟურნალში დაბეჭდვის/კონფერენციაზე მონაწილეობის ხარჯები.

4. დაფინანსების მიღების საფუძველს წარმოადგენს აკადემიის შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი, რომელშიც მითითებული უნდა იყოს (ან/და თან ერთვოდეს):

ა) დოქტორანტის სტატიის/მოხსენების (ქართულ ენაზე) პლაგიატზე შემოწმების შედეგები და ასევე, შედეგების საინტერპრეტაციოდ შექმნილი შესაბამისი საბჭოს დასკვნა;

ბ) სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნა, რომ დოქტორანტის პუბლიკაცია/მოხსენება შეესაბამება მის სამეცნიერო კვლევით სფეროს და საკვალიფიკაციო ნაშრომის თემას;

გ) დოქტორანტის სტატიისთვის/მოხსენებისთვის შერჩეული ორი რეცენზენტის დასკვნა.

5. სამეცნიერო გამოცემაში დოქტორანტის პუბლიკაციის საკითხთან მიმართებით:

ა) სამეცნიერო ჟურნალი უნდა შედიოდეს ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებული რეფერირებადი, საერთაშორისო ჟურნალების სიაში, რაც მითითებული უნდა იყოს ამ მუხლის მე-4 პუნქტში გათვალისწინებულ, ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმში;

ბ) ფაკულტეტის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს სამეცნიერო ჟურნალის ოფიციალური თანხმობა დოქტორანტის მიერ მომზადებული პუბლიკაციის დაბეჭდვის თაობაზე.

6. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობის საკითხთან მიმართებით:

ა) კონფერენციაში მონაწილეობის სტანდარტები დადგენილი უნდა იყოს ფაკულტეტის საბჭოს მიერ, რაც მითითებული უნდა იყოს ამ მუხლის მე-4 პუნქტში გათვალისწინებულ, ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმში;

ბ) დოქტორანტმა უნდა წარადგინოს მოხსენება, კონფერენციაზე იგი უნდა გამოვიდეს მომხსენებლის სტატუსით, ხოლო მოხსენება სრულად უნდა დაიბეჭდოს კონფერენციის მასალებში (მიუღებელია მხოლოდ თეზისების კრებულით შემოფარგვლა) და ყოველივე

აღნიშნულის შესახებ მითითებული უნდა იყოს ამ მუხლის მე-4 პუნქტში გათვალისწინებულ, ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმში;

გ) ფაკულტეტის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ორგანიზატორი მხარის თანხმობა, დოქტორანტის მონაწილეობის შესახებ;

დ) იმ შემთხვევაში, თუ კონფერენციის ორგანიზატორები არ აფინანსებენ მგზავრობისა და პერდიემის ხარჯებს ან/და დოქტორანტმა ვერ მოიპოვა მგზავრობის დაფინანსებაზე თანხმობა სხვა წყაროებიდან/გარე ფონდებიდან (რაზედაც მან უნდა წარმოადგინოს შესაბამისი განაცხადისა და ამ სხვა წყაროს/გარე ფონდის უარყოფითი პასუხის დამადასტურებელი დოკუმენტები), გამონაკლისის სახით, აკადემია (წესის მე-3 მუხლის მიხედვით) განიხილავს ცალკეული დოქტორანტის შემთხვევას, რომ დააფინანსოს მისი მგზავრობისა და პერდიემის (რაც, მათ შორის, მოიცავს ცხოვრებისა და ე.წ. დღიურ/კვების ხარჯებს, მაგრამ ანალოგიის პრინციპით, არ უნდა აღემატებოდეს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის N220 ბრძანებით, ქვეყნების მიხედვით განსაზღვრულ შესაბამის სადღეღამისო ნორმებს) ხარჯები.

მუხლი 3. დასკვნითი დებულებები

1. ფაკულტეტი, აკადემიის ელექტრონული კანცელარიის მეშვეობით, სამსახურებრივი ბარათით მიმართავს აკადემიის სამეცნიერო კვლევებისა და შემოქმედებითი განვითარების განყოფილებას, აკადემიის აკადემიური საბჭოს წინაშე შუამდგომლობის გაწევის თხოვნით, წესის შესაბამისად დოქტორანტის ხელშეწყობაზე გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში მიმართვას თან უნდა დაერთოს ფაკულტეტის საბჭოს ოქმი, ყველა დოკუმენტის/საბუთის/ცნობის თუ სხვა მასალის თანდართვით, რაც მითითებულია წესის მე-2 მუხლის მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტებში და ასევე, სხვა შესაძლო საჭირო დოკუმენტაცია, მათ შორის, გასაწევი ხარჯების კონკრეტული ჩამონათვალი (ხარჯთაღრიცხვა).

3. აკადემიის სამეცნიერო კვლევებისა და შემოქმედებითი განვითარების განყოფილება, ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილ მიმართვას (თანდართულ მასალებთან ერთად), მოხსენებითი ბარათი წარუდგენს აკადემიის რექტორს, საკითხის აკადემიურ საბჭოზე განსახილველად.

4. აკადემიის აკადემიური საბჭოს მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემდგომ, საკითხი ეგზავნება წარმომადგენლობით საბჭოს, დაფინანსების გამოყოფის თაობაზე

გადაწყვეტილების მისაღებად, რომლის აღსრულებაც ეთხოვებათ აკადემიის შესაბამის სამსახურ(ებ)ს.

5. წესიდან გამომდინარე დაფინანსების განხორციელების მიზნით, შესაძლებელია განხორციელდეს სხვა აუცილებელი ღონისძიებები/პროცედურები/ქმედებები, მათ შორის, დამატებით იმ საჭირო ხარჯები დაფინანსების ჩათვლით, რაც პირდაპირ არ არის გათვალისწინებული წესით, მაგრამ არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას, აკადემიის წესდებას და სხვა შესაბამის სამართლებრივ/მარეგულირებელ აქტებს.